

ვებგვერდი, 10/09/2012  
სარეგისტრაციო კოდი  
300160000.22.024.016207

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
მინისტრის  
ბრძანება №1-1/1740  
2012 წლის 10 სექტემბერი ქ. თბილისი

სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის შექმნის  
პროცედურისა და ფუნქციონირების წესის დამტკიცების  
შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 70-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის შექმნის პროცედურისა და ფუნქციონირების თანდართული წესი.

**მუხლი 2.** ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის  
შემსრულებელი

*ი. მატკავა*

სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის შექმნის პროცედურისა და  
ფუნქციონირების წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

1. სტანდარტიზაციის პროცესის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის, საერთაშორისო გამოცდილების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ნებაყოფლობით საწყისეზზე სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) იქმნება სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტ(ებ)ი (შემდგომში – კომიტეტი), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. კომიტეტი არის სტანდარტიზაციის სფეროში, სააგენტოს საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იქმნება სააგენტოს ინიციატივით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით ან/და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებით, ცალკეულ სფეროში საჭიროების/პრიორიტეტულობის შესაბამისად.

3. კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

4. კომიტეტი, საქიროების შემთხვევაში, იქმნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ განსაზღვრული ვადით, რომელიც შეადგენს არანაკლებ ერთ წელს.

5. კომიტეტის წევრები საქმიანობას ახორციელებენ ნებაყოფლობით და ანაზღაურების გარეშე.

## **მუხლი 2. კომიტეტის უფლებები და მოვალეობები**

1. კომიტეტი შეიმუშავებს და წარმოადგენს საქართველოს სტანდარტების პროექტებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შესამუშავებელი ან/და მისაღები საქართველოს სტანდარტების პროექტების შესახებ შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

3. კომიტეტი სხდომებზე განიხილავს საქართველოს სტანდარტის პროექტებს, მასზე არსებულ სხვადასხვა დაინტერესებული პირის შენიშვნებს, კომენტარებს და ექსპერტების დასკვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. კომიტეტი უფლებამოსილია, კომიტეტის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად, საქიროების შემთხვევაში, მოიწვიოს ტექნიკური ექსპერტები.

5. კომიტეტის გადაწყვეტილებით, მესამე მხარეს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის საქმიანობაში, თუ მათი გამოცდილება დაეხმარება კომიტეტს უკეთ მუშაობაში. მათი მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი მიიჩნევს ამ მოსაზრებებს თემატიკისა და აღნიშნული პირის პროფესიული გამოცდილების შესაბამისად.

6. ტექნიკური კომიტეტი არ განიხილავს საქართველოში შემუშავებულ სტანდარტს იმ სფეროში:

ა) სადაც არსებობს საერთაშორისო სტანდარტი;

ბ) სადაც არ არის ფართო მოთხოვნა სტანდარტზე.

7. კომიტეტი ასევე იხილავს სააგენტოს მიერ წარდგენილ საერთაშორისო ან რეგიონალური სტანდარტის ქართულ თარგმანს კომიტეტზე წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში და სააგენტოს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს და რეკომენდაციებს.

8. კომიტეტი კონსენსუსის საფუძველზე იღებს საქართველოს სტანდარტების პროექტებს, რომელსაც წარუდგენს სააგენტოს დასამტკიცებლად.

9. კომიტეტის სხდომების ოქმს ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის მდივანი.

## **მუხლი 3. კომიტეტის წევრობა**

1. კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს:

ა) იურიდიული პირი მისი წარმომადგენლის სახით, კომიტეტის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით;

ბ) ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს სამოტივაციო წერილს კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ და სარეკომენდაციო წერილს მინიმუმ სამი კომპანიისგან, კომიტეტის საქმიანობის სფეროს შესაბამისად;

გ) შესაბამისი სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი, კომიტეტის საქმიანობის სფეროს მიხედვით.

2. კომიტეტის შექმნამდე ორი კვირით ადრე სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია კომიტეტის შექმნის შესახებ კომიტეტის წევრობაზე კერძო პირებისაგან განაცხადების მიღების მიზნით.

3. კომიტეტში წევრად ერთი ორგანიზაციიდან შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ ერთი პირი. კომიტეტის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება.

4. კომიტეტის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ხუთს, რომლებიც წარმოადგენენ:

ა) საჯარო სექტორს;

ბ) კერძო სექტორს.

5. კომიტეტის წევრობის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება ხდება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით :

ა) კომიტეტის გადაწყვეტილებით;

ბ) კომიტეტის წევრის საკუთარი გადაწყვეტილებით;

გ) კომიტეტის წევრი პირის სამუშაოს ადგილისა და სფეროს შეცვლით;

დ) სხვა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

#### **მუხლი 4. კომიტეტის ხელმძღვანელობა**

1. კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომიტეტის წევრების მიერ მათივე შემადგენლობიდან ხმათა უბრალო უმრავლესობით კომიტეტის პირველ სხდომაზე.

2. კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და ატარებს სხდომებს და იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს სტანდარტების პროექტების განხილვის შედეგების გათვალისწინებით;

ბ) სააგენტოს წინაშე წარმოადგენს კომიტეტს;

გ) უზრუნველყოფს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულებას კომიტეტის საქმიანობის სფეროში;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში, ქმნის კომიტეტის სამუშაო ჯგუფ(ებ)ს, ანაწილებს ვალდებულებებს სამუშაო ჯგუფებს შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

ე) სააგენტოს გენერალურ დირექტორს წარუდგენს კომიტეტის წინადადებებს და რეკომენდაციებს მისაღებ საქართველოს სტანდარტებთან დაკავშირებით, საქართველოს სტანდარტებისა და საქართველოს სტანდარტში ცვლილებების პროექტებს, ასევე, კომიტეტის მიერ მიღებულ მესამე მხარის შენიშვნებს.

3. კომიტეტში სააგენტოს წარმოადგენს კომიტეტის მდივანი, რომლის კანდიდატურას, შესაბამისი კომიტეტების მიხედვით ამტკიცებს სააგენტოს გენერალური დირექტორი.

4. კომიტეტის მდივნი:

ა) უზრუნველყოფს კომიტეტის ან/და სამუშაო ჯგუფების სამუშაო გეგმისა და სხდომების ჩატარებისათვის სამუშაო მასალების მომზადებას;

ბ) აფორმებს კომიტეტის სხდომების ოქმებს;

გ) ორგანიზებას უწევს სააგენტოსა და კომიტეტის წარმომადგენლების ურთიერთობას საქართველოს სტანდარტის პროექტის მიღების და სხვა მასალების განხილვის პროცესში.

**მუხლი 5. სტანდარტის პროექტის ან/და სტანდარტის ცვლილების პროექტის განხილვის საჯაროობის უზრუნველყოფა**

კომიტეტის მიერ განსახილველი საქართველოს სტანდარტის პროექტი საჯარო განხილვისა და კომენტარებისთვის თავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრული ვადით.

**მუხლი 6. კომიტეტის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი**

1. კომიტეტის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს ახორციელებს სააგენტო.

2. სააგენტო უზრუნველყოფს კომიტეტის სხდომების ჩატარებისათვის საჭირო ადგილის გამოყოფას.